150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

19 / აპრილი / 2023 წ.

KA020119061464423

№ **22/2832**

სსიპ გარემოს ეროვნულ
სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ახალშენის ადმინისტრაციული ერთეულში (ფართობი 98320 მ^3) 479 150 მ^3 ტუფების, ტუფობრექჩიების და ტუფოქვიშაქვების (სხვა საშენი მასალა) მოპოვების სკრინინგის განცხადებას.

ლიცენზია გაიცემა სავარაუდოდ 8 წლით, 2030 წლის 15 სექტემბრამდე. ხოლო 8 წლის განმავლობაში ჯამურად, მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 479 150 მ^3-ს, წელიწადში საშუალოდ 59 894 მ^3-ს. თუმცა, ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 59 894 მ^3 -ზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 350-400 მ. სიმაღლეზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიაზე, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვ, ტოპოგრაფიული რუკა - 1 გვ., shape ფაილი.